„შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციები, გამოწვევები და უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში”

მაგისტრანტი: მარიამ ნადირაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელი : გივი გუჯარაიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება შრომის ბაზარზე დღეს არსებულ გამოწვევებს, შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მდგომარეობას. ნაშრომში წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი როლი და გამოწვევები, რომლებიც არსებობს საზოგადოების წინაშე.

ნაშრომში მოიცავს საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემას, რაც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან და სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის ზრდასთან, რომელიც დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფოსთვის და აქტუალობას არ კარგავს.

დეტალურად არის განხილული სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და მათ მიერ გატარებული ღონისძიებები, ასევე ჩვენი სახელმწიფოს მიერ ისტორიული წარსულიდან დღემდე წინ გადადგმული ნაბიჯები, ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად განხორციელდა მონაცემთა დამუშავება. არსებული მონაცემების საფუძველზე გაანალიზდა ის გამოწვევები, რომლებიც დღეს არსებობს. კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები დაკავშირებული იყო როგორც შრომის უსაფრთხოების ნორმების ნაკლებობასთან, ასევე თავად დასაქმებული მუშაკების მიერ შესაბამისი სტანდარტების დაუცველობასთან. არსებული მდგომარეობის შეჯერების შედეგად მოხდა მონაცემთა ანალიზი და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

Abstract

The work deals with today's challenges in the labor market, the situation related to labor safety and health. The paper presents the important role of labor safety and the challenges that exist before the society.

The work includes the problem facing society, which is related to the violation of labor safety norms and the increase in the number of injured and dead people at workplaces, which remains an important challenge for the state and does not lose its relevance.

The experience of various countries and the measures taken by them, as well as the steps taken by our state from the historical past to the present, the changes made in the national legislation and the international obligations are discussed in detail.

As a result of quantitative research, data processing was carried out. Based on the available data, the challenges that exist today were analyzed. As a result of the research, it became clear that the problems related to labor safety were related to the lack of labor safety norms, as well as to the insecurity of the relevant standards by the employed workers themselves. As a result of reconciliation of the current situation, the data was analyzed and appropriate recommendations were given.